

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ხათუნა თაბაგარი

**საქართველო-ირანის ეკონომიკური ურთიერთობები: რეგიონული სანედლეულო
ბაზრის განვითარების პერსპექტივები**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2020

ნაშრომი შესრულებულია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **ავთანდილ სილაგაძე**

პროფესორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ალექსანდრე თვალჭრელიძე

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ოფიციალური შემფასებლები: **ალექსანდრე სიჭინავა**

პროფესორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

რამაზ ფუტყარაძე

ასოცირებული პროფესორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება: 2020 წლის ივლისი/27/2020, 12 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე

მისამართი: 0177, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2; თსუ X კორპუსი, აუდიტორია N206

სწავლული მდივანი:

ეკონომიკის დოქტორი

მ. ლობჯანიძე

შინაარსი

საკვლევი თემის აქტუალობა:	1
კვლევის მიზანი და ამოცანები	2
კვლევის საგანი და ობიექტი:	3
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები	3
სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები და ინოვაციურობა.	4
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:	7
ნაშრომის აპრობაცია	7
ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.	7
ნაშრომის ძირითადი შინაარსი	8
დასკვნები და რეკომენდაციები	12
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები	19

საკვლევი თემის აქტუალობა

მსოფლიოში არ არსებობს სფერო, სადაც ენერჯია არ გამოიყენება. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოხმარების დონე წლიდან წლამდე იზრდება. 2018 წელს მსოფლიო ენერჯიის მოხმარების 34% დაიკავა ნავთობმა და 24% ბუნებრივმა აირმა, სულ - 58%. თუ გავითვალისწინებთ მომავალში აღნიშნული ენერგორესურსების გამოყენების სტაბილურად ზრდად ტენდენციას (მინიმუმ 2040 წლამდე), მათი ენერგეტიკული და ეკონომიკური მნიშვნელობაც კიდევ რამდენიმე ათეული წელი შენარჩუნდება. ნებისმიერი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის წარმოება დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსების ფასსა და სტაბილურ მიწოდებაზე. თითოეული მათგანისთვის დღეს ენერგოუსაფრთხოება და ენერგოპოლიტიკა მწვავე თემას წარმოადგენს. ამიტომ იმ სახელმწიფოთა პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც ნახშირწყალბადების საკუთარი რესურსები არ გააჩნიათ, დგანან საფრთხის წინაშე, როგორ უზრუნველყონ თავიანთი სახელმწიფოს მოთხოვნილება ენერგორესურსებზე ხელსაყრელ ფასად და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. ხოლო ქვეყნები, რომლებიც ფლობენ ენერგორესურსებს, ყოველთვის ცდილობენ ისინი საგარეო პოლიტიკის იარაღად აქციონ. ამიტომ დღემდე ნავთობი და გაზი წარმოადგენს მწვავე კონკურენტული ბრძოლის საგანს, (განსაკუთრებით ნავთობი) მრავალი საერთაშორისო კონფლიქტისა და ომის მიზეზს.

ნავთობის ფასზე ორი კანონი მოქმედებს: ყველა ნედლეულის ფასი დამოკიდებულია ნავთობის ფასზე და ნედლეულის ფასი დგინდება აშშ დოლარში, რის გამოც ის დამოკიდებულია სწორედ დოლარის გაცვლით კურსზე. ეს კი არაპირდაპირ გავლენას ახდენს საქონლის წარმოებისა თუ მომსახურების თვითღირებულებაზე.

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მას უკავშირდება უახლესი ისტორიის მოვლენები: რუსეთი არის ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მთავარი მიმწოდებელი ქვეყანა, მან რამდენჯერმე საფრთხე შეუქმნა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს: 2006-2007 და 2009 წლებში რუსეთმა შეუზღუდა გაზის მიწოდება, რის გამოც შეიქმნა ენერგეტიკული, ეკონომიკური და პოლიტიკური დაძაბულობა მსოფლიოში. რუსეთი ცდილობს

ენერგორესურსები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს: გაზარდოს გავლენა ევროკავშირზე.

ევროკავშირის მიზანია რუსული გაზის წილის შემცირება ევროკავშირის ენერგობაზარზე ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა განახლებადი ენერჯიები არ არის ამისთვის საკმარისი, თურქმენეთს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს კი სხვადასხვა მიზეზის გამო არ აქვთ შესაძლებლობა რუსეთის გვერდის ავლით მიაწოდონ მას თავიანთი ნახშირწყალბადები, ხოლო, რაც შეეხება აზერბაიჯანს, თუ ის სრულად უზრუნველყოფს ევროკავშირის გაზზე მოთხოვნას, მისი გაზის გარანტირებული წარმოება მხოლოდ 50 წლით განისაზღვრება. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ სტატისტიკურს გათვლებს, რომ გაზისა და ნავთობის მოხმარების ტენდენცია მინიმუმ 2040 წლამდე გაიზრდება ევროკავშირშიც, გრძელვადიან პერიოდში თანამშრომლობისთვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ალტერნატივა არასაკმარისია.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევაში წარმოდგენილი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ევროკავშირის ბუნებრივ აირსა და ნავთობზე მოთხოვნის შესწავლა შესაბამისი სექტორების მიხედვით ისტორიული მოვლენების ფონზე, რუსული გაზის წილის განსაზღვრა ევროპის ენერჯეტიკის ბაზარზე, პრობლემის მოგვარების მიზნით ირანის მიერ ნავთობისა და გაზის მიწოდების შესაძლებლობების გამოკვლევა და ირანი-ევროკავშირის ნახშირწყალბადების სფეროში თანამშრომლობის შემთხვევაში საქართველოს ენერჯეტიკული და ეკონომიკური მნიშვნელობების განსაზღვრა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ განვსაზღვრეთ შემდეგი ძირითადი *ამოცანები*:

1. მსოფლიო ენერჯიის, განსაკუთრებით, ნავთობისა და ბუნებრივი აირის შესახებ ეროვნული და უცხოური ლიტერატურის სიღრმისეული ანალიზი;
2. მსოფლიო ენერჯიის, განსაკუთრებით, ნავთობისა და ბუნებრივი აირის სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება: მათი მარაგების, წარმოების, მოხმარების, ექსპორტის, იმპორტისა და მათი ბალანსის განსაზღვრა;

3. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო ისტორიის, ეკონომიკისა და გეოპოლიტიკის შესწავლა;
4. რუსეთის ენერგეტიკული და გეოპოლიტიკური სტრატეგიების ზოგადი მიმოხილვა ისტორიული მოვლენების ფონზე;
5. ევროკავშირის ენერგობაზარზე არსებული პრობლემების გამოვლენა და გადაწყვეტის გზების ანალიზი;
6. ირანის ისტორიის, ეკონომიკის და პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა;
7. ირანი-ევროკავშირის თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრა ბუნებრივი აირისა და ნავთობის ბაზარზე;
8. საქართველო-ირანის ისტორიული და თანამედროვე ურთიერთობებისა და სამომავლო თანამშრომლობის ანალიზი ენერგეტიკასა და ეკონომიკაში;
9. საქართველოს სატრანზიტო და სანედლეულო ბაზრის განვითარების შესაძლებლობათა ანალიზი და ახალი პროექტების განხილვა ახალი სანედლეულო ბაზრის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

კვლევის საგანი და ობიექტი:

კვლევის საგანს წარმოადგენს მსოფლიო ნავთობსა და ბუნებრივ აირზე მოთხოვნის ანალიზი ისტორიული და გეოპოლიტიკური მოვლენების ფონზე, რუსეთის, როგორც ევროკავშირისთვის გაზის მთავარი მიმწოდებლის მიერ მიწოდებული გაზის მოცულობისა და სტრატეგიის განსაზღვრა ევროკავშირის ენერგობაზარზე, მისი ნაწილობრივ ან მთლიანად ჩანაცვლების შესაძლებლობების განხილვა.

კვლევის ობიექტია ისტორიული მოვლენების ფონზე ნავთობისა და გაზის მარაგების, წარმოების, მოხმარების, ექსპორტისა და იმპორტის განსაზღვრა, განახლებადი ენერჯიების განხილვა და აზერბაიჯანის მიერ გაზის ევროკავშირისთვის მიწოდების რაოდენობრივი შედარება ირანთან, სიღრმისეული ანალიზი და ა. შ.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევა ეყრდნობა ქართველ და უცხოელ ავტორთა გ. ბედიანაშვილის, თ. ბერბერაშვილის, დ. გეგიას, რ. გველესიანის, ი. დანელიას, შ. ვეშაპიძის, თ. ზუბიაშვილის, ალ. თვალჭრელიძის, მ. თოქმაზიშვილის, კ. კაკაჩაის, პ.

კერვალიშვილის, თ. კვარაცხელიას, ნ. კვინტრადის, ე. ლეკაშვილის, მ. მარგველაშვილის, მ. ოთარაშვილის, ვლ. პაპავას, ე. სეფაშვილის, ა. სილაგამის, ალ. სიჭინავას, რ. ფუტკარადის, გ. ქეშელაშვილის, ი. ყრუაშვილის, თ. შენგელაიას, ნ. ჩიტადის, მ. წერეთლის, თ. წურწუმის და სხვათა ნაშრომებსა და ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც მოიცავენ საკვლევ თემის ისტორიულ მოვლენებს, ენერგეტიკულ ანალიზს, ეკონომიკურ შეფასებებსა და პოლიტიკურ მხარდაჭერა-წინააღმდეგობას. ნაშრომში, ასევე, გამოყენებულია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალა. სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია დასკვნები.

წინამდებარე სადისერტაციო კვლევაში, მათგან განსხვავებით, წარმოჩენილი იქნება საკვლევ პრობლემის კომპლექსურად შესწავლის მცდელობა დღევანდელობამდელ პერიოდში.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ზემოთჩამოთვლილი ნაშრომებისა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ეკონომიკური და სტატისტიკური *მეთოდი*: რაოდენობრივი, თვისებრივი, ანალიზის, შედარების, სინთეზის, დაჯგუფების, გრაფიკული გამოსახვისა და სხვა მეთოდები.

ყველა აღნიშნული მეთოდის გამოყენებით გამოვავლინეთ ევროკავშირის ქრონიკული დეფიციტი ნავთობსა და გაზზე. მათი მოხმარების ზრდადი ტენდენციებიდან გამომდინარე, სამომავლო ნავთობისა და გაზის მიმწოდებლად განისაზღვრა ირანი მონაცემთა შედარების, დაჯგუფებისა და სხვა მეთოდის გამოყენების საფუძველზე. რადგან ის გამოირჩევა თავისი ნედლეულის მარაგების სიმდიდრით და თანხვედრაშია ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ მიზნებთან, სადაც საქართველო უმთავრეს რგოლს წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები და ინოვაციურობა.

ევროკავშირის ენერგობაზარი ევოლუციურ პროცესში, უახლესი კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, კომპლექსურად გამოკვლეული არ არის. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის სიახლეები და

ინოვაციურობა მდგომარეობს ჩვენს მცდელობაში - შეგვესწავლა საკვლევო პრობლემა კომპლექსურად. კვლევის პროცესში მიღებულია შემდეგი შედეგები:

1. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო ექსპორტიორ ქვეყნებში გამოიკვეთა საგულისხმო ნიშან-თვისება: ქვეყნები, რომელთა ნავთობის გარანტირებული წარმოების ვადა 30 წელზე ნაკლებია, მაქსიმალურად ცდილობენ შეინარჩუნონ პირველი ადგილი მსოფლიო ათეულში. ამ ენერგორესურსების მცირე მარაგების მქონე მსოფლიო იმპორტიორი ქვეყნები კი ცდილობენ საიმპორტო წყაროების მაქსიმალურ დივერსიფიცირებას - სამომავლო ენერგეტიკული შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით;
2. ნავთობის გარანტირებული წარმოების მონაცემების მიხედვით, შესაძლებელი ხდება განვსაზღვროთ თუ რომელ ქვეყანასთან შეიძლება გრძელვადიანი სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება;
3. ევროკავშირში არსებული გაზის უარყოფითი ბალანსის გათვალისწინებით, რუსული გაზის წილის შემცირების მიზნით შესაძლოა მხედველობაში მიღებულ იქნას ირანი, როგორც რუსული ენერგორესურსის ნაწილობრივ ან სრულ ჩამნაცვლებლად; მას ევროპასთან აკავშირებს კავკასიის რეგიონი, რომელიც უკვე არის ნავთობისა და გაზის ენერგეტიკული კვანძი (ჰაბი);
4. ირანი ერთდროულად დემოკრატიული და ავტოკრატიული მმართველობის ქვეყანაა, სადაც, მიუხედავად მრავალი გადატრიალებისა, ომისა თუ სხვა შემთხვევებისა, ეკონომიკა დღემდე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნავთობის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალზე; ირანთან თანამშრომლობას კიდევ ამყარებს შემდეგი მიზეზი: ირანი არის ოპეკის (OPEC – Organization of Petroleum Exporting Countries) წევრი ქვეყანა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან თანამშრომლობა ევროპულ და კავკასიის რეგიონში მდებარე ქვეყნებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ გაზისა და ნავთობის სტაბილური და უსაფრთხო მიწოდება;
5. აშშ-ის მიერ ირანისადმი დაწესებული სანქციების მიუხედავად, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოკვეთა, ირანული ნავთობის ერთ-ერთი

- მთავარი მომხმარებელი ქვეყნები ჩინეთი და ინდოეთი, ფიზიკურად ვერ შეძლებენ მის სრულად ჩანაცვლებას;
6. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კონკურენციის საგნად იქცა კასპიის ზღვისპირეთი (ნახშირწყალბადების მარაგების სიმდიდრის გამო) და კავკასიის რეგიონი (სატრანზიტო მნიშვნელობიდან გამომდინარე). 1990-იან წლებიდან რუსეთი ცდილობს თავისი გავლენის აღდგენას უკრაინის, კავკასიის და კასპიის ზღვისპირეთის ქვეყნებში, რასაც თან მოჰყვა სხვადასხვა კონფლიქტი (რუსეთ-საქართველოს ომები, 2006 და 2009 წლების ცივი ზამთრები და ა. შ.), რომელიც დღემდე გრძელდება;
 7. კავკასიის რეგიონში კარგად არის განვითარებული ინფრასტრუქტურა: ნავთობსადენთა და გაზსადენთა სისტემა, რომელიც უმნიშვნელოვანესია, როგორც თავად კავკასიისთვის, ასევე ევროპისათვის; ამ პირობებში, შემოთავაზებულია ავტორისეული ხედვა: საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობა შექმნას სასაქონლო ბირჟა, სადაც შესაძლებელი იქნება, საქართველოს ტერიტორიაზე ნახშირწყალბადების გადაზიდვასთან ერთად, ივაჭრონ მსოფლიოს უმნიშვნელოვანესმა ქვეყნებმა ამ და სხვა ნედლეულით;
 8. აზერბაიჯანი გრძელვადიან პერიოდში ვერ იქნება ნავთობისა და გაზის სტაბილური მიმწოდებელი ევროკავშირისათვის თავისი ენერგორესურსების მცირე მარაგების გამო, ამიტომ შემოთავაზებულია ავტორისეული ხედვა აუცილებელია ირანის ჩართვა ამ მიმართულებით;
 9. საქართველო, ევროკავშირის მსაგავსად, არის ნავთობისა და გაზის დეფიციტის მქონე მათი იმპორტიორი ქვეყანა. ირანული ნედლეულის კავკასიის რეგიონის გავლით ტრანსპორტირების შემთხვევაში - საქართველოს ნავთობისა და გაზის საიმპორტო წყარო დივერსიფიცირდება, შემცირდება აღნიშნულ ენერგორესურსებზე ფასები და დადებითად აისახება საქართველოს, და, ზოგადად, კავკასიის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე; პეტროქიმიური ქარხნის, გათხევადებული გაზის ტერმინალის და ანაკლიის პორტის აშენების შემთხვევაში საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა უფრო მეტად გაიზრდება.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ინსტიტუციურ სტრუქტურებში ენერგეტიკული, ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, სამამულო და საერთაშორისო კომპანიების ბიზნეს-საქმიანობის განვითარებისათვის, საუნივერსიტეტო დაწესებულებებში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო ენერგეტიკული და ვაჭრობის საკითხების კვლევისა და სწავლების პროცესში.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომი განხილული და მოწონებულია თსუ საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე (26.12.2019 წელი, ოქმი № 6), ასევე, კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა 7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.

შესავალი

თავი 1. ნავთობი და ბუნებრივი აირი (გაზი) თანამედროვე მსოფლიოში

- 1.1. მსოფლიო ენერჯის წარმოებისა და მოხმარების ისტორია
- 1.2. ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსები და ინფრასტრუქტურა
- 1.3. ნავთობისა და ბუნებრივი აირის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში

თავი 2. ნავთობისა და გაზის წარმოება მსოფლიოსა და ევროკავშირის ქვეყნებში

- 2.1. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო წარმოება და მოხმარება
- 2.2. ნავთობი და გაზი ევროკავშირში
- 2.3. ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები და სამომავლო პერსპექტივები

თავი 3. ირანი, როგორც ევროკავშირის სამომავლო პარტნიორი

- 3.1. ირანის განვითარების თანამედროვე ტენდენციები
- 3.2. ირანის ნავთობისა და გაზის სექტორი
- 3.3. ირანის ეკონომიკა ამერიკული სანქციების შემდეგ
- 3.4. კავკასიის რეგიონი, როგორც ენერგეტიკული ჰაბი ევრაზიაში

3.5. საქართველო, როგორც კავკასიის ენერგეტიკული ჰაზის ძირითადი რგოლი

3.6. საქართველო-ირანის თანამშრომლობის შესაძლებლობა ნავთობისა და ბუნებრივი აირის ბაზარზე

3.7. შესაძლო საერთაშორისო პროექტები

3.8. ირანი-ევროკავშირის თანამშრომლობის საერთაშორისო მნიშვნელობა

დასკვნები და რეკომენდაციები

ბიბლიოგრაფია.

ნაშრომი შედგება 205 გვერდისგან, სტრუქტურულად ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავისა, დასკვნა-რეკომენდაციებისაგან, რომელსაც თან ერთვის ბიბლიოგრაფია.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

პირველ თავში განხილულია მსოფლიო ენერჯის წარმოებისა და მოხმარების ისტორია და მისი კავშირი მსოფლიო მთლიან სამამულო პროდუქტთან (მსპ). 2018 წელს ენერჯის მსოფლიო მოხმარება პროცენტულად შემდეგ დარგებზე ნაწილდება: მრეწველობა - 44%, მშენებლობა - 30%, ტრანსპორტი - 20% და არაკომერციული - 6%. ენერჯის მსოფლიო მოხმარების მიხედვით, პირველ ადგილზეა ჩინეთი 23.6%-ით, მეორეზე - აშშ - 16.6%-ით, ხოლო რუსეთი - 5.2%-ით მეოთხეზე და ირანი მეათეზე - 2.1%-ით, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან კი გამოირჩევა - გერმანია - 2.3%-ით და საფრანგეთი - 1.7%-ით. ეს უკანასკნელნი იკავებენ მეშვიდე და მეთორმეტე ადგილებს. ამავე წელს, ენერჯის მოხმარების წყაროების მიხედვით, ნავთობისა და გაზის მოხმარებას ევროკავშირის ენერგობაზარზე უკავია სულ 62%, რუსეთში - 65%, აშშ-ში - 70%, ხოლო ჩინეთში ყველაზე მცირე - 28%.

სტატისტიკური გათვლებით, მსოფლიო ენერჯის მოხმარების თვალსაზრისით, 2018 წელთან შედარებით 2040 წლამდე მინიმუმ გასამმაგდება გაზის მოხმარების მოცულობა, ხოლო ნავთობის - გაორმაგდება. 2040 წლისთვის ენერჯის სხვა დანარჩენი წყაროებიდან განახლებადი ენერჯის მოხმარების მოცულობა გაიზრდება, თუმცა ნახშირწყალბადების მოხმარების მოცულობის ნახევარს შესაძლოა მიაღწიოს. ნავთობი ძირითადად გამოიყენება ტრანსპორტისა (70%) და მრეწველობის (24%) სექტორში, ხოლო გაზი - მრეწველობასა (34%) და ელექტროენერჯის (34%) სექტორში. ისინი ძირითადად მილსადენებით, ტანკერებით და გათხევადებული გაზის მზიდავების საშუალებით გადაიზიდება. ქვეყნები, ასევე, ცდილობენ არსებული

გაზსაცავების სიმძლავრეების გაზრდას, რადგან ეს ხელს უწყობს მათ გაზის შეფერხებით მიწოდებისას მათ გამოყენებას და სტაბილურობის უზრუნველყოფას. გაზსაცავებს ძირითადად ფლობენ მსოფლიო ენერჯის მთავარი მომხმარებელი ქვეყნები. მრავალი ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება და ფართოვდება, რის გამოც ბუნებრივი რესურსების მოხმარების საკითხმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. მას ენერგეტიკული დანიშნულების გარდა, ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ნავთობს უკავშირდება 1973 წლის ნავთობის კრიზისი, ხოლო ბუნებრივ აირს 2006-2007 და 2009 წლების ცივი ზამთრები: რუსეთის მიერ ევროპისთვის გაზის მიწოდების შეზღუდვა.

მეორე თავში საუბარია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგებზე, წარმოებაზე, მოხმარებასა და მათ სამომავლო პერსპექტივაზე. ასევე, ყურადღება გამახვილებულია ოპეკის (OPEC) შექმნის მიზეზებსა და მიზნებზე, ნავთობის 1973 წლის მსოფლიო კრიზისზე და სხვა მოვლენებზე. ცალკე გამოყოფილია ნახშირწყალბადების მსოფლიო ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები და კომპანიები. ოპეკის შექმნის საპასუხოდ აშშ-ის ინიციატივით შეიქმნა ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (International Energy Agency - IEA), რომლის მიზანიც დღემდე არის ნავთობის 90 დღიანი მარაგების შენახვა და გამოყენება ენერგეტიკული საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

ნაშრომში გაანალიზებულია ოპეკის წევრი და არაწევრი ქვეყნების მიერ ნავთობის წარმოება. 2018 წლის ნავთობის მსოფლიო მარაგების ათეულის მიხედვით, გამოირჩევა ოპეკის წევრი 7 ქვეყანა, ხოლო დანარჩენ ქვეყნებს განეკუთვნება - კანადა, რუსეთი და აშშ. 2018 წელს ნავთობის მსოფლიო წარმოებით გამოირჩევა უმეტესად ისევ ოპეკის წევრი ქვეყანა, მათ შორის, ირანი, ხოლო ოპეკის არაწევრი ქვეყნებიდან აშშ, რუსეთი, კანადა და სხვ. ამავე წელს გაზის მსოფლიო მწარმოებელ ქვეყნებს შორის ლიდერობს აშშ, რუსეთი, ირანი და ა.შ. ნავთობის მსოფლიო მომხმარებელ ქვეყნებს შორის ამავე წელს უმეტესად ლიდერობს ნავთობის მცირე მარაგების მქონე ქვეყნები: ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და სხვ. ბუნებრივი აირის მსოფლიო მომხმარებელ ქვეყნებს შორის კი გამოირჩევა - აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ირანი და ა.შ.

ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო მწარმოებელი და მოხმარებელი ქვეყნების შესაბამისად, იგივე ქვეყნები გამოირჩევიან მისი ექსპორტითა და იმპორტით.

ნაშრომში, ასევე, განხილულია 2018 წლისთვის ევროკავშირის ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგები, წარმოება და მოხმარება. ევროკავშირის არ გამოირჩევა ნავთობისა და გაზის მარაგებითა და წარმოებით, მას აქვს მუდმივად უარყოფითი ბალანსი: ის 490-535 მლნ ტონ ნავთობისა და 300-340 მლრდ მ³ გაზის იმპორტს ახორციელებს. 2006-2018 წლისთვისაც კი მის მიერ ნავთობისა და გაზის მოხმარების ტენდენცია ზრდადია. თემაში დეტალურადაა გაანალიზებული რუსული „წნეხი“ და ევროკავშირის მიერ მისგან თავის არიდების მცდელობები. რუსეთი ევროკავშირს სხვადასხვა მილსადენით აწვდის ბუნებრივ აირს. 2006 და 2009 წლების გაზის ომებამდე, რუსეთი ბუნებრივ აირს აწვდიდა ევროპას უკრაინის გავლით, მაგრამ უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული დაპირისპირებების გამო რუსეთმა შეზღუდა გაზის მიწოდება უკრაინისა და, შესაბამისად, ევროპას, მათ შორის ევროკავშირის წევრი, ქვეყნებისთვის. ამ შედეგმა კი წარმოშვა გარკვეული ენერგეტიკული, ეკონომიკური და პოლიტიკური დამაბულობა. რუსეთმა გადაწყვიტა მეორე მილსადენის აშენება უკრაინის გვერდის ავლით და გაზის მიწოდება გერმანიის ტერიტორიის გავლით. ამ გაზსადენს ეწოდება ლურჯი ნაკადი. ამით რუსეთმა აღადგინა ევროკავშირისთვის მისაწოდებელი გაზის მოცულობა.

ევროკავშირი მოიხმარს ენერჯის სხვადასხვა წყაროს. 2017-2018 წლებში, ისევე როგორც წინა წლებში, ევროკავშირის მიერ ნავთობისა და გაზის მოხმარების წილი მისი ენერჯის მთლიან მოხმარების 50%-ს უმეტესად აღემატება. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ნავთობის მოხმარების მოცულობის მიხედვით, ევროკავშირის ენერჯის მთლიან მოხმარებაში გამოირჩევა გერმანია 17.2%-ით, საფრანგეთი - 12.2%-ით, გაერთიანებული სამეფო - 11.9%-ით და ა.შ., ხოლო გაზის შემთხვევაში - გერმანია 21.6%-ით, იტალია - 13.7%-ით, გაერთიანებული სამეფო - 11.7%-ით და სხვ. 2006 წლიდან ევროკავშირის ცდილობს გაზის მოხმარების წილის შემცირებას მის მიერ მთლიან მოხმარებული ენერჯის მოცულობაში, თუმცა ამაოდ. ის, ასევე, ცდილობს გაზის იმპორტიორ ქვეყანათა დივერსიფიცირებას, თუმცა რუსეთს მაინც 39% უკავია ევროკავშირის მიერ მთლიანად მოხმარებული გაზის მოცულობაში. რუსეთის ალტერნატივად, ასევე,

განისაზღვრება აზერბაიჯანი, თუმცა მას მსოფლიო გაზის მარაგების 0.2% გააჩნია, მაშინ როცა რუსეთის წილი აჭარბებს 17%-ს.

მესამე თავში გამოკვლეულია ირანის წარმოშობის ისტორია, პოლიტიკა, ეკონომიკა და სხვ. დეტალურად განხილულია ინფორმაცია მისი ნავთობისა და გაზის მარაგების, წარმოების და მოხმარების შესახებ. ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ირანის მსკ-თვის ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი წყარო, 2017 წელს მსკ-ში ნავთობის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 20%-ზე მეტი. ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის თვალსაზრისით, ირანს გააჩნია დადებითი სავაჭრო სალდო. ირანში ნავთობის მარაგებისა და წარმოების მოცულობას ძირითადად ზრდადი ტენდენცია აქვს. ირანში 1980-2018 წლებში ნავთობის წარმოების ისტორიას მჭიდროდ უკავშირდება 1979 წლის ირანის რევოლუციის შედეგები, ირან-ერაყის ომი, ირანის რეფორმა 2000-2010 წლებში და ბოლო პერიოდში აშშ-ის მიერ გავრცელებული სანქციები. 1980-2018 წლებში ირანი მხოლოდ თავისი ქვეყნისთვის სამყოფ გაზს აწარმოებს და მცირე მოცულობით აწვდის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. აშშ-ის სანქციები ირანის მიმართ ნაკლებად მოახდენს გავლენას, ვიდრე ამას აშშ მოელოდა, რადგან, ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, ირანის საექსპორტო ქვეყნებს, ჩინეთსა და ინდოეთს, სრულად არ შეუძლიათ ირანული ნავთობი ჩაანაცვლონ სხვა ქვეყნის ნედლეულით. 2018 წელს ჩინეთისთვის ირანი ნავთობის მეექვსე იმპორტიორი ქვეყანაა და ჩინეთის მიერ მთლიანად იმპორტირებული ნავთობის 8.5% უკავია, ხოლო ინდოეთისთვის მესამე - 16.8%-ით. ნავთობის გარდა, ირანი გეგმავს გაზის წარმოების გაზრდას ექსპორტის განხორციელების მიზნით, 2019 წლის 4 მაისს უკვე გაიხსნა ირანის ნავთობის ეროვნული კომპანიის წარმომადგენლობა ერაყში და იგეგმება 40 მლნ მ³-ით ბუნებრივი აირის ექსპორტი. ნაშრომში გაანალიზებულია შესაბამისი არგუმენტები ირანის, როგორც რუსული გაზის სრულად ან ნაწილობრივ ჩამნაცვლებლის შესახებ ევროკავშირისათვის; წარმოდგენილია კავკასიის რეგიონის, როგორც სატრანზიტო დერეფნის, ზოგადი ეკონომიკური, ენერგეტიკული და პოლიტიკური ანალიზი; გამოკვეთილია საქართველოს როლი ნავთობისა და გაზის ბაზარზე, მისი მიზიდველობა ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირი-ირანის თანამშრომლობის შემთხვევაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო თემაში ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. ენერჯის სხვადასხვა წყაროს მოხმარების ძირითადი ტენდენციები:

- 2018 წელს მსოფლიო ენერჯის 45% მოიხმარება მრეწველობაში, 28% - მშენებლობაში, ხოლო 17% - ტრანსპორტში; 2018 წელს მსოფლიოში ენერჯის მთლიან მოხმარებაში ნავთობისა და გაზის წილია 58%, სტატისტიკური მონაცემებით, მათი მსოფლიო მოხმარების სტაბილური ზრდა არის მოსალოდნელი მინიმუმ 2040 წლამდე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ნავთობისა და ბუნებრივი აირის ენერჯეტიკული, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა მინიმუმ ამ დრომდე შენარჩუნდება. მიუხედავად იმისა, რომ განახლებადი ენერჯის მსოფლიო მოხმარების მოცულობა შესაძლოა მინიმუმ 3-ჯერ გაიზარდოს - ეს ვერ ამცირებს ნახშირწყალბადების წილს.

რეკომენდაცია: ნახშირწყალბადების დიდი ოდენობით მომხმარებელმა ქვეყნებმა, უმჯობესია გაზარდონ სხვა ენერჯორესურსების მოხმარება, რათა ნახშირწყალბადებზე ფასების მატების ან/და მათი მიწოდების შეზღუდვის შემთხვევაში, ნაკლები გავლენა მოახდინოს მათ ეკონომიკებზე;

- მილსადენების გარდა, ნავთობის ტანკერული ფლოტები და გათხევადებული გაზის მზიდავები ქვეყნებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მათ ჰქონდეთ ნავთობისა და გაზის იმპორტის დივერსიფიცირებული წყაროები;
- გაზსაცავების არსებობა კი, განსაკუთრებით, გაზის იმპორტიორ ქვეყნებს ხელს უწყობს გაუთვალისწინებელ შემთხვევებში გაზის სტაბილურად მიწოდებაში;
- ამჟამად, ენერჯის ზოგიერთმა სახეობამ, ენერჯეტიკული დანიშნულების გარდა, დამატებით, ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა.

რეკომენდაცია: უახლოეს მომავალში ფიზიკურად შეუძლებელია ნავთობისა და ბუნებრივი აირის სწრაფად ჩანაცვლება, ამიტომ ერთ-ერთ გამოსავლად შეიძლება ჩაითვალოს ნავთობისა და გაზის იმპორტიორ ქვეყანათა დივერსიფიცირება. ამასთან, ენერჯეტიკული და, შესაბამისად, ეკონომიკური შეფერხებების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია იქნება თუ ქვეყნები გაზსაცავების მოცულობებს გაზრდიან;

2. ნავთობისა და გაზის წარმოება მსოფლიოსა და ევროკავშირის ქვეყნებში:

- ნებისმიერი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის წარმოება დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსების ფასსა და სტაბილურ მიწოდებაზე; მისი დიდი რაოდენობით წარმოება კი გარკვეულ პოლიტიკურ ძალაუფლებასთანაა დაკავშირებული; ამიტომ დღემდე ბუნებრივი აირის და (უმეტესად) ნავთობი წარმოადგენს მწვავე კონკურენტული ბრძოლის საგანს, მრავალი საერთაშორისო კონფლიქტისა და ომის მიზეზს;
- ნავთობის მარაგებით მდიდარმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს შეექმნათ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია - ოპეკი (OPEC), რომლის მიზანიცაა ნავთობის ბაზრის რეგულირება და გავლენის მოპოვება/შენარჩუნება. ამის საპასუხოდ, ნავთობის მომხმარებელმა ქვეყნებმა, რომელთა შორისაცაა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, ჩამოაყალიბეს ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (IEA), რომელთა წევრებიც ვალდებული არიან 90 დღის ნავთობის მარაგები შეინახონ. ნავთობის მოხმარების მიხედვით, ძირითადად გამოირჩევიან ისეთი ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც (მსპ) მზარდია და, რომელთაც მწირი ენერგეტიკული რესურსები გააჩნიათ;
- ნავთობის მსოფლიო ექსპორტიორ ათ ქვეყანას შორის შვიდი ოპეკის წევრია და ამ ათეულში მოწინავე ადგილი უკავია საუდის არაბეთს, რომელსაც 2018 წელს ნავთობის მსოფლიო ექსპორტის 18.3% უკავია. ევროკავშირის წევრი ოთხი ქვეყნის მიერ იმპორტირებული ნედლეული ნავთობის მსოფლიო იმპორტის 13.9%-ია;
- ნავთობისა და გაზის წარმოების მიხედვით, გამოირჩევიან კომპანიები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ამ ნედლეულის მწარმოებელ ან მომხმარებელ ქვეყნებში.

რეკომენდაცია: ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო არ არის ნავთობის სტაბილური მიწოდების მყარი გარანტი. შესაბამისად, ოპეკის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია ნავთობის უსაფრთხო და სტაბილური მიწოდება, ისევე როგორ გაზის.

- რაც შეეხება გაზის მსოფლიო ექსპორტიორ ქვეყნებს, ამ თვალსაზრისით, 2018 წელს გამოირჩევიან რუსეთი, ნორვეგია და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. ამავე წელს

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ იმპორტირებული გაზის მოცულობა ბუნებრივი აირის მსოფლიო გაზის იმპორტის 52.9%-ია;

- ევროკავშირის ნავთობისა და გაზის მუდმივად უარყოფითი ბალანსი აქვს და ის ყოველწლიურად დაახლოებით 490-535 მლნ ტონა ნავთობის და 300-340 მლრდ მ³ გაზის იმპორტს ახორციელებს. ბოლო წლებში ნავთობზე მოხმარების მოცულობა შემცირებულია, გაზის მოხმარება კი შემცირდა მხოლოდ 2008-2009 და 2013-2014 წლების კონფლიქტების გამო, თუმცა, მოგვიანებით, მასზე მოთხოვნა მაინც გაიზარდა;
- 2006 და 2009 წლების „გაზის ომებმა“ და ცივმა ზამთრებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს ევროკავშირის გაზის მოხმარებაზე. ეს იყო სერიოზული დარტყმა ევროკავშირის ქვეყნებისათვის, თუმცა ისინი ისევ რუსული ნედლეულის იმპორტზეა დამოკიდებული. რუსეთს (უკრაინის სატრანზიტო მიმართულების გაუქმების მიუხედავად) არ შეუძლია გაზის მიწოდება, რადგან ეს მისაწოდებელი გაზი ჩრდილოეთ ნაკადის გაზსადენის საშუალებით აღადგინა. მისი მიზანია ევროკავშირის გაზის ბაზრის მნიშვნელოვანი წილის შენარჩუნება, რომელსაც თან სდევს პოლიტიკური მიზეზები და მიზნები.

რეკომენდაცია: აუცილებელია ევროკავშირმა დაიწყოს ირანთან თანამშრომლობა ბუნებრივი აირისა და ნავთობის ბაზარზე ხანგრძლივი ვადით, რადგან აზერბაიჯანი, თავისი ენერგეტიკული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვერ შეძლებს კონკურენცია გაუწიოს რუსეთს ორივე ნედლეულის თვალსაზრისით, პირველ რიგში იმიტომ, რომ მისი მარაგები მალე ამოიწურება, ვიდრე ირანისა და მეორეც, ნახშირწყალბადთა საიმპორტო წყაროების დივერსიფიცირება საგრძნობლად შეამცირებს მის რისკებს და, რაც მთავარია, ირანი-ევროკავშირის თანამშრომლობა მოგებიანი იქნება, როგორც მათთვის, ასევე ტრანზიტული ქვეყნებისთვის;

- ევროკავშირში 2005, 2008 და 2018 წლებში გაზის იმპორტის მოცულობა იზრდებოდა და ამ წლებში შეადგინა - 363.7 მლრდ მ³, 395 მლრდ მ³ და 491 მლრდ მ³. 2018 წელს ევროკავშირში მთლიანად იმპორტირებული გაზის 80%-ზე მეტი განხორციელდა გაზსადენების საშუალებით;

➤ 2008 წელს, ანუ 2009 წლის რუსეთ-უკრაინას შორის გაზის მეორე კრიზისამდე, ევროპის მიერ იმპორტირებული ბუნებრივი აირის მოცულობამ შეადგინა 395 მლრდ მ³, 2005 წელთან შედარებით გაიზარდა 8.6%-ით. 2008 წელს რუსეთის მიერ ევროპისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობა არის ევროკავშირის მიერ იმპორტირებული გაზის 31%, ხოლო ნორვეგიის - 23%, ნიდერლანდების - 13% და ალჟირის - 12%. 2006 და 2009 წლებში ევროკავშირის რუსეთის გაზზე დამოკიდებულება შედარებით შემცირდა ნორვეგიის მიერ გაზის წარმოებისა და მიწოდების გაზრდის ხარჯზე. 2008 წელს ევროკავშირისთვის გაზის მიმწოდებელთან რაოდენობა იყო დაახლოებით 16, სადაც რუსეთის მიერ გაზის მიწოდება შემცირდა 13.5%-ით, ნორვეგიის გაიზარდა - 18.5%-ით და სხვ. 2005 წელთან შედარებით;

რეკომენდაცია: ირანს აქვს ევროკავშირთან თანამშრომლობის სურვილი. ირანიდან შესაძლოა კავკასიის გავლით მიეწოდოს ევროკავშირს ბუნებრივი აირი და ის გახდეს რუსული გაზის ალტერნატივა-კონკურენტი. ეს კი ხელს შეუწყობს ევროკავშირისთვის გაზის მიწოდების უსაფრთხო მიწოდებას;

3. ირანი, როგორც ევროკავშირის სამომავლო პარტნიორი:

- ირანის ეკონომიკა დღემდე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ნავთობის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალზე. მას აქვს საქონლისა თუ მომსახურების გასაღების დიდი სამამულო ბაზარი, ეს კი, ასევე, მნიშვნელოვანია კავკასიისთვის;
- ირანი ყოველთვის ცდილობდა ევროპასთან ეკონომიკური კავშირების დამყარებას, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია დამატებით აწარმოოს ბუნებრივი აირი და ევროპული ბაზრის გახსნის შემთხვევაში შეძლოს თავისი სხვა პროდუქტის გატანაც. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის შემოსავლების წყაროს დივერსიფიცირებას.

რეკომენდაცია: ირანი, როგორც საერთაშორისო ბაზარი მიმზიდველია ევროპული ქვეყნებისა და კავკასიის რეგიონისთვის, მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი მდებარეობა: საქონლისა და მომსახურების ბაზარი - ის ერთგვარად გზას ხსნის აზიის მიმართულებით, რაც ერთობ საინტერესოა საქართველოსთვის და, არა მარტო. ირანი არის ოპეკის წევრი ქვეყანა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან თანამშრომლობა ევროპულ

და კავკასიის რეგიონში მდებარე ქვეყნებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ გაზისა და ნავთობის სტაბილური მიწოდება.

- აშშ-ს სანქციების მიზანი იყო, რომ ირანს ნავთობის წარმოების მოცულობა მინიმუმ დონემდე შეემცირებინა, მაგრამ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყნები, რომლებიც არიან ირანული ნავთობის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელი ქვეყნები, ჩინეთი და ინდოეთი, ფიზიკურად ვერ შეძლებენ მის ჩანაცვლებას; გარდა ამისა, ჩინეთი აშშ-ს ამ სანქციების გაუქმებისკენ მოუწოდებს;

რეკომენდაცია: მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა ვერ შეძლო ირანის, ნავთობზე დაწესებული სანქციების მიზნებიდან გამომდინარე, შემოსავლის შემცირება, უმჯობესი იქნება თუ ირანი მაინც მოახდენს ბუნებრივი აირის ბაზრის დივერსიფიცირებას.

- ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონკურენციის საგნად იქცა კასპიის ზღვისპირეთი და კავკასიის რეგიონი: კასპიის ზღვისპირეთი ნახშირწყალბადების მარაგების სიმდიდრის გამო, ხოლო კავკასია - სატრანზიტო მნიშვნელობიდან გამომდინარე. 1990-იანი წლებიდან რუსეთი ცდილობს თავისი გავლენის აღდგენას უკრაინის, კავკასიის და კასპიის ზღვისპირეთის ქვეყნებზე, რასაც თან მოჰყვა სხვადასხვა კონფლიქტი და 2006 და 2009 წლების „ცივი ზამთრები“ და ა.შ.;
- რუსეთმა ყაზახეთს, უზბეკეთსა და თურქმენეთს „აუკრძალა“ რუსეთის გავლით თავიანთი ნახშირწყალბადების მიწოდება;
- ევროკავშირი ცდილობდა მჭიდრო პოლიტიკური და შემდეგ ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას საქართველოსთან: კავკასიის რეგიონში აღმოსავლეთ პარტიონირობისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გაფორმებას, რასაც შემდეგ მოყვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, დასავლეთ საექსპორტო მილსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობები, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგოდივერსიფიცირებისა და სტაბილურობისათვის;
- საქართველო არის ნავთობისა და გაზის იმპორტიორი ქვეყანა ევროკავშირის ქვეყნების მსაგავსად. ირანული გაზის კავკასიის რეგიონის გავლით

ტრანსპორტირების შემთხვევაში, მოხდება საქართველოს ნავთობისა და გაზის იმპორტის არხის დივერსიფიცირება, შემცირდება აღნიშნულ ენერგორესურსებზე ფასები, რაც დადებითად აისახება საქართველოს, და, ზოგადად, კავკასიის რეგიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;

- ირანი-ევროკავშირის თანამშრომლობის შემთხვევაში საქართველო რეგიონულ სანედლეულო ბაზრად და ენერგოჰაბად გადაიქცევა;
- ირანი-ევროკავშირის თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში თავად ირანს დაეხმარება ევროპულ ქვეყნებთან დაახლოებაში, განსაკუთრებით ეკონომიკისა და პოლიტიკის მიმართულებით, ირანის საზოგადოება მიმართულია დასავლეთისაკენ;
- საქართველოს დადებითი მხარეებია:
 - ❖ 2018 წელს საქართველოს ტერიტორიაზე გადაიზიდა 47.68 მლნ ტონა ნავთობი და 9 მლრდ მ³ ბუნებრივი აირი აზერბაიჯანიდან ევროპის მიმართულებით;
 - ❖ მისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო მილსადენები: კასპიის მილსადენის კონსორციუმი, დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და სამხრეთ კავკასიური გაზსადენი;
 - ❖ საქართველო ფლობს საკმაოდ დიდ გამოცდილებას ენერჯის საერთაშორისო პროექტების შესრულებაში;
 - ❖ საქართველოს გააჩნია კარგი ურთიერთობა თურქეთთან, ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-თან, ირანთან და ა.შ.;
 - ❖ საქართველოს გააჩნია პოზიტიური ურთიერთობა ნავთობისა და ბუნებრივი აირის საერთაშორისო კომპანიებთან: ბიპი (BP), სოკარი (SOCAR), შვერონი (Chevron), სტატოილჰიდრო (StatoilHydro), ტფაო (TPAO), ენი (ENI), ტოტალი (TOTAL), ინპექსი (Inpex), კონოკოფილიპსი (ConocoPhillips), ჰეს კორპი (Hess Corp), პეტრონასი (Petronas) და ა.შ.;
 - ❖ საქართველოს შეუძლია შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვის აკვატორიაზე გასვლა და მსოფლიო ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირის დამყარება.

საქართველოს მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად გაზრდის სამხრეთ კავკასიის დერეფნის 4 პროექტი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი; სუფსის ტერმინალისა და ანაკლიის ტერმინალის მშენებლობა; ნაბუკოს ახალი პროექტი და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გაფართოება:

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის სიმძლავრეა 59.76 მლნ ტონა. აზერბაიჯანი აწარმოებს 38.74 მლნ ტონა ნავთობს და აქედან 34.78 მლნ ტონა ნავთობი განკუთვნილია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისთვის, ანუ თავისუფალი მიმოქცევისთვის რჩება 21.02 მლნ ტონა, რომელსაც ირანი უზრუნველყოფს;
- სუფსისა და ანაკლიის ტერმინალების განვითარება - აშენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება 10 მლნ ტონა ნავთობის წარმოება-ექსპორტი;
- ნაბუკოს ახალი პროექტი, ანუ სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და ამ გაზსადენის გაფართოების შემთხვევაში მათი ჯამური სიმძლავრე იქნება 31 მლრდ მ³, აზერბაიჯანმა 2018 წელს მხოლოდ 7.1 მლრდ მ³, ე. ი. თავისუფალი მიმოქცევისთვის რჩება 25 მლრდ მ³;
- ჩვენი გაანგარიშებით, 2018 წელს ირანში გაზის გარანტირებული წარმოების ხანგრძლივობაა 133 წელი, ხოლო რუსეთსა და აზერბაიჯანში - 58-112 წწ.;
- სამხრეთ კავკასიური გაზსადენის და მისი გაფართოების პროექტის საშუალებით შესაძლებელია ირანმა მიაწოდოს გაზი ევროკავშირს რუსული ბუნებრივი აირის ნაწილობრივ ჩანაცვლების მიზნით. ამ შემთხვევაში ირანის მიერ გაზის გარანტირებული წარმოების ვადა შემცირდება მხოლოდ 121 წლამდე, ხოლო აზერბაიჯანისა - 48 წლამდე;
- აზერბაიჯანული გაზის ფასია 92.22 დოლარი 1000 მ³-ზე, ირანი კი, იმისთვის რომ ევროპას მიაწოდოს ნედლეული, გაზზე ფასს შეუმცირებს საქართველოს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს გაზის ბაზარზე ბუნებრივი აირის ტარიფის შემცირების შესაძლებლობას;
- საქართველო გახდება ირანიდან მიღებული ნავთობის გადამამუშავებელი და ექსპორტიორი ქვეყანა;

- ამ პირობებში სასაქონლო ბირჟის ჩამოყალიბება კიდევ უფრო მეტად წინ წაწევს ქვეყანას ეკონომიკური თვალსაზრისით.

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები ავტორის მიერ გამოქვეყნებული იქნა შემდეგ ნაშრომებში:

1. თაბაგარი, ხ., 2019. კავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობა უახლოეს მომავალში (ნავთობისა და ბუნებრივი აირის მაგალითზე). ჟურნალი „ეკონომისტი“, ტომი XV, №3. თბილისი, გვ. 116-124. (Erihplus, Ebsco);
2. თაბაგარი, ხ., 2019. ირანი-ევროკავშირის ენერგობაზარზე თანამშრომლობის გავლენა საქართველოს ბუნებრივი აირის ტარიფზე (შემცირების შესაძლებლობა). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (26-27 ოქტომბერი) შრომების კრებული. თბილისი, გვ. 151-155;
3. თაბაგარი, ხ., 2018. ნავთობის როლი მსოფლიო ეკონომიკაში (ნავთობის მწარმოებელი 10 წამყვანი ქვეყნის მაგალითზე). ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი IX, №1. თბილისი, გვ. 100-107. (Erihplus, Ebsco);
4. თაბაგარი, ხ., 2018. კონკურენციის შეზღუდვის საფრთხე და აღმოფხვრის შესაძლებლობები: საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მაგალითზე. კონკურენციის პოლიტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული: „კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები“. 28-29 სექტემბერი. თბილისი, გვ. 231-244;
5. თვალჭრელიძე, ალ., თაბაგარი, ხ., 2018. ირანის სანედლეულო ბაზარი - გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: “ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. 6-7 ივლისი. თბილისი, გვ. 170-177;

6. თაბაგარი, ხ., 2018. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო მილსადენების (არსებული და პერსპექტიული პროექტების) გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX რეგიონთაშორისი სტუდენტური კონფერენციის სამეცნიერო შრომების კრებული. თსუ. 9-10 ივნისი. თბილისი, გვ. 36-41;
7. თაბაგარი, ხ., 2017. „საქართველო-ირანის ენერგო-სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკაში“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII რეგიონთაშორისი სტუდენტური კონფერენციის სამეცნიერო შრომების კრებული. 15 ივნისი. თბილისი, გვ. 52-61.
8. Tvalchrelidze, A., Tabagari, Kh., 2019. American New Sanction Against Iran: Challenges for Economic Growth. Elixir – International Journal, vol 126, pp. 52504-52513.
9. Tabagari, Kh., 2019. Impact of Georgia-Iran cooperation in energy sector on Russian economic-political interests in Caucasus region. IV International Scientific Conference „Politics around the Caucasus“. Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Institute for Georgia’s Neighbourhood Studies. PROCEEDINGS. November 16. Tbilisi, pp. 52-59;
10. Tabagari, Kh., 2018. The Perspectives of Iran-EU Partnership in Energy Sector. Elixir – International Journal, vol. 124, November, pp. 52173-52176;
11. Tabagari, Kh., Tvalchrelidze, A., 2018. Caucasus and World Globalization – Opportunities and Challenges. III International Scientific Conference” Politics around the Caucasus”. Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Institute for Georgia’s Neighbourhood Studies. PROCEEDINGS. October 21. Tbilisi, pp. 84-97.